ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 100 (3584)

23 1968 წ. მაისი, ხუთშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.

ვინ გადახტება ყველაზე მაღლა? მე-2 გვ.

იუგოსლაველებთან—დევისის თასზე მე-3 გვ.

# მეხუთედ!

სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადისთვის მზადების პერიოდში ნაყოფიერად იმუშავეს ამიერკავკასიის რკინიგზის „ლოკომოტივის" საგზაო საბჭომ და მისმა ფიზკულტურულმა კოლექტივებმა. ვადამდე გადაჭარბებით შესრულდა ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებანი. საიუბილეო წელს რკინიგზელ ფიზკულტურელთა ორგანიზაციაში მომზადდა 16 სპორტის ოსტატი, 218 ოსტატობის კანდიდატი და პირველთანრიგოსანი. „ლოკომოტივმა" მაღალ მაჩვენებლებს მიაღწია სხვა თანრიგების სპორტსმენთა და საზოგადოებრივი კადრების აღზრდის საქმეშიც.

ამას წინათ „ლოკომოტივის" ცენტრალურმა საბჭომ შეაჯამა ჩვენი ქვეყნის რკინიგზების ფიზკულტურულ ორგანიზაციათა შორის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგები და გამარჯვებულად ცნო ამიერკავკასიის საგზაო საბჭო (თავმჯდომარე თ. კეჟაძე), რომელსაც გადაეცა გარდამავალი წითელი დროშა, სიგელი და ჟეტონი „დიდი მედალი". აღსანიშნავია, რომ ამიერკავკასიის რკინიგზის ფიზკულტურულმა ორგანიზაციამ ზედიზედ მეხუთედ მოიპოვა ეს საპატიო ჯილდო.

რაიონული საბჭოების სოციალისტურ შეჯიბრებაში ყველას აჯობა ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების საბჭომ (თავმჯდომარე მ. ბაღდასაროვი), რომელიც დაჯილდოვდა სამახსოვრო სიგელითა და „დიდი მედლით". სამახსოვრო სიგელი და ჟეტონი გადაეცა თბილისის კვანძის სპორტულ კლუბს „ელმავალს", რომლის საზოგადოებრივი საბჭოს თავმჯდომარეა თბილისის განყოფილების უფროსის მოადგილე მ. მუავია.

## და მაინც ყაიმი

პორეჩი, 22 მაისი. მსოფლიო პირველობაზე ბ. ლარსენისა (დანია) და ლ. პორტიშის (უნგრეთი) მეოთხედფინალური მატჩის გადადებული VIII პარტია, რომელშიც პორტიშს მეტოქის ლაზიერის წინააღმდეგ ორი კუ და ორი გამსვლელი პაიკი ჰქონდა, 63-ე სვლაზე ყაიმით დამთავრდა.

მატჩის ბოლომდე ორი პარტია დარჩა, ანგარიში კი სწორია — 4:4. თუ 10 პარტია გამარჯვებულს ვერ გამოავლენს, მატჩი პირველ შედეგიან ორთაბრძოლამდე გაგრძელდება.

## გუშინ...

თბილისში გამოვიდა ქალთა V საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირისადმი მიძღვნილი ჭადრაკის რესპუბლიკური ფედერაციის ბიულეტენის („e2-e4") პირველი ნომერი.

საინტერესო ბიულეტენი უხვადაა ილუსტრირებული და გვაცნობს ტურნირის ყველა მონაწილეს, მსაჯებს, მოგვითხრობს განვლილ ტურნირებზე, ქალთა I საერთაშორისო ტურნირზე და ა. შ.

სულ გამოვა ბიულეტენის 4 ნომერი.



ფიგურულმა ციგურაობამ — სპორტის ამ ულამაზეს წარმტაცმა სახეობამ მტკიცედ მოიკიდა ფეხი თბილისში. ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის ფიგურისტებმა უკვე საკავშირო მასშტაბით აღიმაღლეს ხმა!

ს უ რ ა თ ზ ე: გაიანე ხაჩატუროვა, რომელმაც წლეულსაც მოიპოვა საქართველოს ჩემპიონის წოდება.

ფოტო ე. ლიუბიმოვისა.

## ასე ჩაეყარა საფუძველი...

ამას წინათ ბათუმის № 3 სკოლა-ინტერნატს ამხანაგური შეხვედრის ჩასატარებლად ეწვიენენ სოხუმის № 1 სკოლა-ინტერნატის სპორტსმენები. ნავსადგურში გულთბილი დახვედრის შემდეგ სტუმრებმა ცოტა ხნით დაისვენეს, შემდეგ კი ქალაქის ღირსშესანიშნაობათა დათვალიერებას შეუდგნენ.

სოხუმელი მოკრივეები ჩვენს სკოლა-ინტერნატთან საზოგადოებრივ საწყისებზე არსებული კრივის სექციის წევრებს უნდა შეხვედროდნენ. მართალია, სტუმრები გაძლიერებული შემადგენლობით ჩამოვიდნენ (გუნდში შეყვანილი იყო სოხუმის რამდენიმე საუკეთესო ჭაბუკი მოკრივე), მაგრამ მასპინძლები მათ მაინც ღირსეულად დაუხვდნენ. ყოველი ბრძოლა დაძაბული და საინტერესო სანახავი იყო. მატჩის ანგარიშია 7:5 სტუმრების სასარგებლოდ.

გუნდებს გამარჯვების ქულები მოუტანეს: ოტირბამ, კორნიენკომ, უაროვმა, ჩხოლარიამ, აგრბამ, გვაჯავამ, პაზინიანმა (ყველა — სოხუმი), არჩაიამ, ნაკაშიძემ, ბარამიძემ, ცეცხლაძემ და კალანდაძემ (ყველა — ბათუმი).

ასე ჩაეყარა საფუძველი ორი ინტერნატის მოკრივეთა მეგობრობის კარგ ტრადიციას.

**ა. გიორგაძე,**
**ბათუმის № 3 სკოლა-ინტერნატის ფიზაღზრდის მასწავლებელი.**



# 5 შვიდის წინააღმდეგ

სსრ კავშირის „ბ" კლასის სპიდვეისტთა გუნდური პირველობა ოლიმპიური სისტემით ტარდება. მოასპარეზე 15 გუნდი სამ ქვეჯგუფად (5-5 კოლექტივი) დაყოფილი იბრძვის პირველ ორ ადგილზე გასვლისთვის, რათა შემდგომ ფინალში გაითამაშოს 2 საგზური, რომლებიც გაისად „ა" კლასში გამოსვლის უფლებას იძლევა.

თბილისის დოსააფის კოლექტივი „თბილისი", რომელიც სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადისთვის მზადების პროცესში შეიქმნა, ჩემპიონატის დებიუტანტია. პირველი მატჩი მან ამას წინათ თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე გამართა ჩერვონოგრადის „შახტიორთან". მასპინძელთა კოლექტივში შვიდის ნაცვლად ხუთი სპორტსმენია (ს. ლიომინიდი, ვ. კლიმენტიევი, ვ. გუშაევი, პ. ზელინსკი და რ. რეზვანოვი). მიუხედავად ამისა, თბილისელებმა მეტოქე დიდი ანგარიშით (42:27) დაამარცხეს.

მეორე შეხვედრა — როვნოს „რადუგასთან" უფრო დაძაბული გამოდგა. მასპინძლებმა თავიდანვე ხელთ იგდეს ინიციატივა და უკვე მე-9 ცდაზე მეტოქეს 5 ქულით უსწრებდნენ. გამარჯვება თითქოს ახლოს იყო, მაგრამ ბოლო ცდებში თავი იჩინა თბილისელთა გუნდის დაუკომპლექტებლობამ. მე-10 ცდაზე ორი მეტოქის პირისპირ რეზვანოვი გამოვიდა. მეთერთმეტეზე კი გუშაევი. მათ თავიანთ კოლექტივს 3 ქულა ძლივს შემატეს მაშინ, როცა „რადუგის" სპორტსმენებმა 9 ქულა მოიპოვეს, რამაც სტუმრებს 1 ქულით დაწინაურების საშუალება მისცა.

საბოლოოდ გამარჯვება სტუმრებს დარჩათ — 39:38. აღსანიშნავია, რომ კლიმენტიევმა 4 ცდიდან 3 მოიგო და მხოლოდ ერთხელ მოვიდა ფინიშთან მეორე. მან მატჩში აბსოლუტურად საუკეთესო შედეგი აჩვენა.

2 ტურის შემდეგ ქვეჯგუფში დაწინაურდა როვნოს კოლექტივი, რომელმაც ადრე იოლად სძლია ერევნის „ნაირის".

ჩვენი სპიდვეისტები მორიგ შეხვედრებს გამართავენ როვნოში, ელისტასა და ჩერვონოგრადში, ბოლოს კი ერევანსა და თბილისში ეასპარეზებიან „ნაირის".

**ა. გურასაშვილი.**

* * *

**ს უ რ ა თ ზ ე: თბილისისა და როვნოს გუნდების შეხვედრის ერთი მომენტი.**

**ფოტო მ. ზარგარიანისა.**



თბილისის განათლების განყოფილების სპორტის საწყლოსნო სახეობების ბავშვთა სპორტსკოლის ნიჩბოსნობის ჯგუფებმა გაზაფხულის დადგომისთანავე თბილისის ზღვას მიაშურეს და საგულდაგულო ვარჯიში დაიწყეს — ისინი წლევანდელ ტურნირებში წარმატებით მონაწილეობისთვის სამზადისს შეუდგნენ.

ს უ რ ა თ ზ ე: ვარჯიშის დაწყების წინ.

ფოტო ბ. ქვათაძისა.

## სტუდენტთა თამაშები

### 6 ჩემპიონი ერთი ინსტიტუტიდან

ხუთი უმაღლესი სასწავლებლიდან სარბიელზე მხოლოდ 24 მოკრივე გამოვიდა. მათგან ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი, რომელმაც I ადგილი (65,5 ქულა) დაიკავა. II ადგილი წილად ხვდა უნივერსიტეტს (31,0), III — პოლიტექნიკურ ინსტიტუტს (15,5). IV ადგილზე ვავიდნენ მასპინძლები — ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის წარმომადგენლები (12), V — სოხუმის პედინსტიტუტის სპორტსმენები (7 ქულა).

პირად შეჯიბრებაში ფიზკულტურის ინსტიტუტს 6 ჩემპიონი ჰყავს. წონითი კატეგორიების მიხედვით (პირველ წონაში მოკრივეები არ გამოუყვანიათ) გაიმარჯვეს: მ. გერიამ (სოხუმის პედინსტ.), მ. არუთინოვმა, გ. ვარდანიანმა (ორივე — ფიზკ. ინსტ.), დ. ნარიკაშვილმა (თსუ), ვ. ლაშაურმა (ფიზკ. ინსტ.), ს. ჩიქოვანმა (თსუ), ა. გარაბაჯმა, შ. ხოსიაურმა (ორივე — ფიზკ. ინსტ.), რ. აკოფოვმა (სპი), დ. ხოფერიამ (ფიზკ. ინსტ.).

### იმარჯვეს მომავალმა ინჟინრებმა

როგორც ქალთა, ისე ვაჟთა კოლექტივები ორ-ორ ქვეჯგუფად იყვნენ დაყოფილი. ქალთა I ქვეჯგუფში (5 გუნდი) 4 გამარჯვება იზეიმა და პირველობა გაინაღდა უნივერსიტეტის ნაკრებმა, რომელმაც მოუგო ფიზკულტურის ინსტიტუტის, ცხინვალის, გორის და თბილისის პედინსტიტუტების კოლექტივებს. II ქვეჯგუფში (6 გუნდით) უძლიერესნი იყვნენ მომავალი ინჟინრები, რომლებმაც დაამარცხეს თბილისის სასოფლო-სამეურნეო, სოხუმისა და ქუთაისის პედაგოგიური, თბილისის უცხო ენათა და სამედიცინო ინსტიტუტების გუნდები.

I-II ადგილების ბედი ქვეჯგუფებში გამარჯვებულთა მატჩმა გადაწყვიტა. პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელებმა შედარებით იოლად სძლიეს უნივერსიტეტელებს (57:41) და სტუდენტთა თამაშების ჩემპიონობა დაისაკუთრეს.

III-IV ადგილებისთვის ერთმანეთს შეხვდნენ ფიზკულტურისა და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტების გუნდები. დაძაბული ბრძოლა 3 ქულით მოიგეს (45:42) ფიზკულტურის ინსტიტუტის წარმომადგენლებმა.

ვაჟთა I ქვეჯგუფში უძლიერესი იყო უნივერსიტეტის გუნდი (გაიმარჯვა ოთხივე მეტოქესთან), II ქვეჯგუფში კი პოლიტექნიკური ინსტიტუტისა (მოუგო ხუთივე მეტოქეს). ამ გუნდების ფინალურ შეხვედრაში იოლი გამარჯვება მოიპოვეს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელებმა — 74:56. ასე რომ, პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქალებმაც და ვაჟებმაც პირველობა არავის დაუთმეს. III-IV ადგილებისთვის გამართულ მატჩში მომავალმა ექიმებმა დაამარცხეს ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტსმენები — 64:58.

### საჭიდაო ხალიჩაზე

თავისუფალ ჭიდაობაში ტოლი არ ჰყავდათ პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარმომადგენლებს, რომლებმაც დამსახურებულად მოიპოვეს I ადგილი. II ადგილზე გავიდა ფიზკულტურის ინსტიტუტის, ხოლო III — გორის პედინსტიტუტის ნაკრები.

* * *

სტუდენტთა თამაშების პროგრამით შეჯიბრება მხოლოდ ერთ სახეობაში — ფეხბურთში არ დამთავრებულა. ფეხბურთელები ბოლო მატჩებს დღეს გამართავენ და საერთო გუნდურ ჩათვლაში საბოლოო შედეგები მხოლოდ ამის შემდეგ დაჯამდება.

„ლელოს“ ბრიგადა.

* * *

ეროვნული ბიბლიოთეკა



ს უ რ ა თ ზ ე: მცირეკალიბრიანი პისტოლეტით სროლაში გამარჯვებული, თბილისის კონსერვატორიის წარმომადგენელი რ. წურწუმია.

ფოტო ა. გურასაშვილისა.

## როგორ აქვთ საქმე მეზობლებს?

ქალი სპორტის საქმეში

საყოველთაოდ ცნობილია, რომ პროგნოზი და ისიც სტარტებამდე 5 თვით ადრე, სარისკო საქმეა. და მაინც, ძნელია გადალახო ცთუნება, ძნელია, თუნდაც ფიქრით არ წარმოიდგინო წლევანდელი ოქტომბერი, არ წარმოიდგინო როგორ წარიმართება „კენგურუს ტომის“ წარმომადგენლების ბრძოლა ოლიმპიური ოქროსთვის მეხიკოს უნივერსიტეტის სტადიონის სახტომ სექტორებზე.

მძლეოსნობის სახეობათა მაინცდამაინც ეს ჯგუფი შემთხვევით როდი ავარჩიე. საქმე ის გახლავთ, რომ წინა ოთხ ოლიმპიურ თამაშებში საბჭოთა მხტომელებმა მედლების სოლიდური რიცხვი (ოქროს 3, ვერცხლის 5 და ბრინჯაოს 10) მოიხვეჭეს, ხოლო შარშან საგრძნობი წვლილი შეიტანეს ძირითად შეჯიბრებებში საბჭოთა გუნდების გამარჯვებაში. მაგალითად, ევროპის თასის ფინალში, რომელიც კიევში მოეწყო, ხტომის სახეობებში ჩვენმა სპორტსმენებმა (ვაჟებმა და ქალებმაც) 4 პირველი და 2 მეორე ადგილი დაიკავეს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მხტომელები საბჭოთა მძლეოსნური გუნდის მთავარ ძალას წარმოადგენენ.

როგორია ჩვენი მხტომელების პერსპექტივები მეხიკოში? აი, როგორ აფასებს მათ შანსს სწრაფ და ძალისმიერ სახეობებში ჩვენი ნაკრების უფროსი მწვრთნელი ვ. პოპოვი:

— პირველ ყოვლისა უნდა აღვნიშნო, რომ მეხიკის დედაქალაქის მძლეოსნურ სექტორებსა და ბილიკებზე გაჩაღდება მწვავე, დაძაბული ბრძოლა, რომელიც შეიძლება ჭეშმარიტად ფანტასტიკური შედეგებით დამთავრდეს. ასეთ ბრძოლაში დიდი როლი ენიჭება არა მარტო ტექნიკასა და ოსტატობას, არამედ გამარჯვებისთვის სწრაფვას, საკუთარი თავის დამორჩილებას, გამბედაობას. ამიტომ ნაკრების მზადების დროს დიდ ყურადღებას ვუთმობთ სპორტსმენში, ვთქვათ, ისეთი ჩვევის გამომუშავებას, როგორიცაა საჭირო მომენტში მთელი ძალის გამოვლენა. ჩვენმა მწვრთნელებმა ისწავლეს ალსაზრდელის ისე მომზადება, რომ იგი მაღალ სპორტულ ფორმაში იყოს ძირითადი შეჯიბრების წინ. ეს საშუალებას გვაძლევს წინასწარ დავგეგმოთ შედეგები მზადების ამა თუ იმ ეტაპზე. მაგალითისთვის შორს წავალა არ დაგვჭირდება.

სსრ კავშირის შარშანდელ ჩემპიონს სიმაღლეზე ხტომაში ვ. გავრილოვს გასულ სეზონში არც ერთი ასპარეზობა არ წაუგია. ოლიმპიური წლისთვის სპორტსმენის მზადება ისე აიგო, რომ გათვალისწინებული იყო თებერვალში მისი გამოსვლა ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამასთან, ამ შეჯიბრებაში დაგეგმილი იყო გავრილოვის პირადი რეკორდის (217 სმ) ტოლფასოვანი შედეგი. როგორც ცნობილია, მან დაამარცხა უძლიერესი ამერიკელი მხტომელები და ერთ-ერთი შეჯიბრების დროს 218 სმ სიმაღლე გადალახა.

მეორე ჩვენი უძლიერესი მხტომელი ვ. სკვორცოვი ტრავმით გამოწვეული ხანგრძლივი შესვენების შემდეგ III ევროპულ თამაშებში (დახურულ შენობაში) მონაწილეობდა. მწვრთნელმა ვ. დიაჩკოვმა წინასწარ დაგეგმა შედეგი — 215-217. სპორტსმენმა შეძლო ამ დავალების შესრულება — მადრიდში 217 სანტიმეტრზე გადახტა და გაიმარჯვა. ვფიქრობ, ეს ორი სპორტსმენი შეძლებს მეხიკოში უმაღლესი ხარისხის მედლისთვის ბრძოლას.

ი. ტერ-ოვანესიანმა შარშანდელ სეზონში მსოფლიო რეკორდი გაიმეორა, თანაც, ოლიმპიური სტარტების ვადის შესაბამისად გააკეთა ეს. მეხიკოს ოლიმპიადა იგორისთვის უკანასკნელი შანსია საწადელის ასრულებისა — ოლიმპიური ოქროს მედლის მოხვეჭისა. თუმცა მას ახლა ისე ძლიერი მეტოქეები ჰყავს, როგორც არასდროს: რ. ბოსტონიც, რ. ბიმონიც და ლ. დევისიც ოლიმპიურ ოქროს უმიზნებენ.

სიმაღლეზე მხტომელი ქალების შარშანდელ „უძლიერესთა სიის“ სათავეში საბჭოთა სპორტსმენი ა. ოკოროკოვა უდგას. მაგრამ წარსულ ზამთარს იგი დამარცხდა ამერიკელ ე. მონტგომერისთან, მადრიდში კი მხოლოდ III ადგილი დაიკავა — გზა დაუთმო რუმინელ ვ. ბონჩისა და გდრ-ის მძლეოსნობის ამომავალ ვარსკვლავს რ. შმიდტს. საბოლოო პროგნოზი ჯერჯერობით ნაადრევია, თუმცა ნათელია, რომ ოლიმპიური ბრძოლის რთულ პირობებში საპრიზო ადგილზე გასვლის საშუალებას მხოლოდ ეს შედეგი მოგვცემს — 182-185. ვფიქრობ, ასეთი სიმაღლის გადალახვა ოკოროკოვას ძალუძს.

სიგრძეზე მხტომელი ქალებიდან მხოლოდ ტ. ტალიშევას შეუძლია ბრძოლა გაუმართოს მსოფლიოს უძლიერეს სპორტსმენებს. ახალგაზრდა მხტომელებმა ე. რინგამ, ნ. კროიტერმა, ტ. ბიჩკოვამ და სხვებმა ჯერ კიდევ ვერ მიაღწიეს ოლიმპიურ დონეს, თუმცა კიდევ აქვთ ოსტატობის ამაღლების დრო. დღეს შეუძლებელია ითქვას, ვინ გაიმარჯვებს ამ სახეობაში. ბევრია დამოკიდებული იმაზე, გამოვა თუ არა სარბიელზე ი. კირშენშტეინი. ალბათ, საშიში მეტოქე იქნება ევროპის 1967 წლის თასზე შეჯიბრებაში გამარჯვებული ი. ბეკერი. მედლებისთვის ბრძოლაში თავისი სიტყვის თქმა შეუძლია მ. რენდსაც.

ასევე ძნელია არა მხოლოდ გამარჯვებულის, არამედ დანარჩენი 2 პრიზიორის დასახელებაც ჭოკით ხტომაში. ფიბერგლასის, დაუმორჩილებელ და ჭირვეულ ჭოკს ხშირად აჰყავს მისი მფლობელები სარეკორდო სიმაღლეზე და ასევე ხშირად წარუმატებლობა მოაქვს მათთვის. ყოველ შემთხვევაში, ვვარაუდობთ, რომ გ. ბლიზნეცოვს (მან, როგორც იქნა, მიიღო მისი წონის შესაფერი იარაღი) და ი. ფელდს შეუძლიათ ოლიმპიური მედლებისთვის ბრძოლა. ამაზე ოცნებობენ ამერიკელი მხტომელებიც, რომლებიც მუდამ იმარჯვებდნენ ოლიმპიურ თამაშებში. ამასვე ფიქრობენ ევროპის ჩემპიონი ვ. ნორდვიგიც, ფრანგი ე. დ' ანკოსიც, ბერძენი ქ. პაპანიკოლაუც და ბოლო წლებში წარმატებით მოასპარეზე ფინელი მხტომელებიც.

საბჭოთა მძლეოსნებმა და მწვრთნელებმა შეძლეს გადაელახათ ორწლიანი შეფერხება სამხტომში. ამჯერად ჩვენი შანსი უფრო საიმედოა. შარშან სამხტომელებს არ წაუგიათ არც ერთი ასპარეზობა და მადრიდშიც ორმაგი გამარჯვება მოიპოვეს. მაღალი შედეგები აჩვენეს ნ. დუდკინმა და ვ. სანეევმა, ა. ზოლოტარიოვმა და ვ. კურკეეიჩმა, თუმცა, ისინი სრულიად სხვადასხვა პირობებში ებრძოდნენ საშიშ მეტოქეებს.

რასაკვირველია, არ შეიძლება ანგარიში არ გავუწიოთ პოლონელ და უნგრელ მხტომელებს, გერმანელ მ. ზაუერს, რუმინელ შ. ჩოხინუს, ამერიკელ ა. უოკერს, მაგრამ განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო სენეგალელი მხტომელი მ. დია, რომელმაც შეუდარებელი ფიზიკური მონაცემების წყალობით (სიმაღლე 191 სმ, წონა 83 კგ, სიგრძეზე ხტომა — 755 სმ) სულ რაღაც 5 წლის მანძილზე 16,48 მეტრს მიაღწია და წლეულსვე შეუძლია გააუმჯობესოს პირადი მიღწევა. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი მხტომელების სამეულმა უნდა იბრძოლოს ოლიმპიურ ფინალში გასვლისთვის და ეცადოს 2 ოლიმპიური მედლის მოხვეჭას.

ოლიმპიადის დაწყებამდე 5 თვით ადრე მხტომელთა შანსები ასე წარმოგვიდგება, მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, ამ დაძაბული 5 თვის მანძილზე ბევრი რამ შეიძლება შეიცვალოს. ალბათ გავეცნობით ახალგაზრდა მხტომელებს, რომლებიც გაბედულად გამოიწვევენ ბრძოლაში ფავორიტებს (როგორც ეს საერთოდ იყო ხოლმე). იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ასეთი სპორტსმენები ჩვენშიც გამოჩნდებიან.

ე. ჩენი,
სპორტის ოსტატი.

## ოპერატიული ინფორმაცია

### ბათუმი

ბეჭდვითი სიტყვის დღეს მიეძღვნა გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ თასზე გამართული ველოსიპედისტთა ტრადიციული შეჯიბრება. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ ქობულეთის „კოლმეურნის“, ბათუმის ბავშვთა სპორტსკოლის, აგრეთვე, „დინამოსა“ და „განთიადის“ გუნდები. ვაჟთა შორის I ადგილი დაისაკუთრა „კოლმეურნის“ წარმომადგენელმა ა. ვლასენკომ. ქალთა შორისაც პირველი ამ საზოგადოების წევრი ზ. კოზლოვა იყო. გუნდური პირველობა და გარდამავალი თასი „კოლმეურნის“ ველოსიპედისტებმა დაისაკუთრეს.

მ. კირაკოსიანი.

### თელავი

ფშაველის ი. გაგარინის სახელობის სტადიონზე მოეწყო ამხანაგური შეხვედრები ფეხბურთში, კალათბურთსა და ფრენბურთში ადგილობრივ და ნაფარეულის გუნდებს შორის. კალათბურთელთა შეხვედრა მოიგეს მასპინძლებმა (34:28), ფრენბურთელთა — ნაფარეულელებმა (2:0), ფეხბურთელთა მატჩი კი დამთავრდა ფრედ — 5:5.

შ. ჯამბაძე.

### რუსთავი

„განთიადის“ ჭაბუკ „კლასიკოსთა“ საქალაქო პირველობაში წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: ა. ჩადუნელმა, ტ. ფაფაკერაშვილმა, ტ. ივანეიშვილმა, ო. მაისურაძემ, ზ. ლოცულაშვილმა, რ. გოგოლაძემ, თ. ცირეკიძემ და თ. ლომსაძემ. შეჯიბრებაში 80 მოჭიდავე მონაწილეობდა.

რ. ბაბრიშიძე.



ამას წინათ თბილისის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა ქალაქის მძლეოსანთა პირადი პირველობა. შესანიშნავად იასპარეზა სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტმა ვარდო ქუთათელაძემ („ლოკომოტივი“), რომელმაც 200 მეტრი 24,6 წამში გაირბინა და პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი.

ქუთათელაძის მწვრთნელმა ვ. სუხოტინმა გვითხრა, რომ სპორტსმენი კარგად მოემზადა სეზონისთვის. მას იმედი აქვს, რომ ვარდო ამ შედეგს კიდევ გააუმჯობესებს მაისის დამლევს კიშინიოვში, სადაც ამიერკავკასიის რესპუბლიკებისა და მოლდავეთის გუნდების ტრადიციული მატჩი ჩატარდება.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: ვ. ქუთათელაძე.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

## წოდებათა მინიჭება

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით საქართველოს სსრ სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭათ: **ქართულ ჭიდაობაში** — დ. დურგლიშვილს (თბილისი, „კოლმეურნე“), ს. მჭედლიძეს (ლაგოდეხის „კოლმეურნე“).

* * *

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით სპორტის ოსტატის კანდიდატის წოდება მიენიჭათ: **ფრენბურთში** — ო. ურუშაძეს, ვ. კუხტინოვს (ორივე — თბილისის „ბურევესტნიკი“); **ძალოსნობაში** — ქ. ნადირაძეს (მარნეულის „კოლმეურნე“); **ჭადრაკში** — ვ. მეჩიტოვს (თბილისი, განათლების სამინისტრო); **თანამედროვე ხუთჭიდში** — ნ. ჯავახიშვილს (თბილისის „სპარტაკი“); **ტყვიის სროლაში** — თ. ლაკიას (თბილისის „დინამო“).

## ქრონიკა

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმმა თეთრი წყაროს რაიონის სპორტკავშირის თავმჯდომარედ დაამტკიცა **თენგიზ ხუციშვილი**. იგი დაიბადა 1939 წელს. დამთავრებული აქვს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი. 1962 წლიდან თეთრი წყაროს სკოლა-ინტერნატის ფიზაღზრდის მასწავლებელია, ხოლო 1967 წლიდან — რაიონის ბავშვთა სპორტსკოლის დირექტორი.

* * *

თიანეთის რაიონის სპორტკავშირის თავმჯდომარედ დამტკიცებულია **გოდერძი ბიჩელაშვილი**. იგი დაიბადა 1946 წელს. დაამთავრა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტთან არსებული მწვრთნელთა სკოლა. 1967 წლიდან მუშაობდა თიანეთის სკოლა-ინტერნატის ფიზაღზრდის მასწავლებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თასი მხოლოდ მოყვარულთათვის

დევისის თასი ერთ-ერთი ყველაზე ორიგინალური პრიზია თანამედროვე სპორტში. ეს ჯილდო არც ერთ საერთაშორისო ორგანიზაციას არ დაუკანონებია, თავის დროზე იგი შეწირულების სახით დააწესა ერთმა მდიდარმა ამერიკელმა ინგლისისა და აშშ-ს ჩოგბურთელთა ყოველწლიური მატჩში გამარჯვებულისთვის. მოგვიანებით ბრძოლაში ჩაებნენ სხვა ქვეყნების გუნდებიც. ამჟამად ეს თასი ყველაზე პოპულარული ჯილდოა დიდ ჩოგბურთში.

პირველი მატჩი დევისის თასზე 1901 წელს გაიმართა. მას შემდეგ ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა, მაგრამ გათამაშების წესები უცვლელი რჩებოდა. გაზეთები ყოველ წელიწადს წერდნენ, წესები მოძველდა და უნდა შეიცვალოსო, მაგრამ ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაცია (ილტფ) არავითარ ლონისძიებას არ იღებდა და ვერც მიიღებდა, რადგან თასი კერძო შეწირულებას წარმოადგენს. წესების შეცვლა შეუძლია მხოლოდ პრიზის დამწესებელს და რაკი თვით დევისი გარდაიცვალა, ეს უფლება ახლა მისი მემკვიდრეების ხელთაა.

ამ ერთი წლის წინ წამოიჭრა საკითხი, რომ მოყვარულთა ტურნირებში მონაწილეობის ნება მიეცათ პროფესიონალი ჩოგბურთელებისთვისაც. დევისის მემკვიდრეებმა თასის დამწესებელთა უფლება გამოიყენეს და უარი თქვეს თასის გათამაშებაში პროფესიონალთა დაშვებაზე. ამიტომ წლეულს ეს შეჯიბრება კვლავ მოყვარულთა ასპარეზობად რჩება. ამან განსაკუთრებით იმოქმედა ავსტრალიელებზე, რომლებიც ომისშემდგომ წლებში თითქმის მონოპოლიურად ფლობდნენ თასს. შარშან ამ ქვეყნის საუკეთესო მოთამაშეები იმ იმედით, რომ უიმბლდონის ტურნირი და სხვა დიდი შეჯიბრებები კარს გაუღებდა პროფესიონალებს, პროფესიონალთა ჯგუფში გადაბარგდნენ. ახლა ავსტრალიის მოყვარულთა გუნდში თუ უარესი არა, შეიძლება მხოლოდ მეექვსე შემადგენლობა მოხვდეს.

ისევე, როგორც ნახევარი საუკუნის წინ, გუნდში ახლაც მხოლოდ ვაჟები თამაშობენ. ამ უსამართლობის უარყოფის ყველა ცდა უშედეგო დარჩა. მართალია, რამდენიმე წლის წინ ილტფ-მ ანალოგიური პრიზი დააწესა ქალთა გუნდებისთვის. ახლა ჩოგბურთელები პარადოქსის წინაშე დგანან: ქალები მონაწილეობენ გუნდურ პირველობაში, რომელსაც ფედერაციამ მისცა სანქცია და ამიტომ უფლება აქვს მსოფლიო პირველობად იწოდებოდეს, ვაჟები კი მხოლოდ კერძო პრიზს ეცილებიან ერთმანეთს.

დევისის თასის თვითეულ მატჩში 5 შეხვედრა იმართება: ოთხი — ერთეულთა შორის და ერთიც — წყვილებში. წყვილში შეიძლება იმ სპორტსმენის შეყვანაც, რომელსაც ერთეულთა შეხვედრებში მონაწილეობა არ მიუღია. ამგვარად, გუნდი შედგება ორი ან ოთხი მოთამაშისგან. გაიმარჯვებს ის, ვისაც მატჩში 3 მოგება ექნება. დამარცხებული გუნდი დევისის თასისთვის ბრძოლას ეთიშება.

სსრ კავშირის ჩოგბურთელები დევისის თასის გათამაშებაში 1961 წლიდან ჩაებნენ. უკვე მომდევნო წელს ჩვენი სპორტსმენები ევროპის ზონის მეოთხედფინალში მოხვდნენ (გუნდები ოთხ ზონად არიან დანაწილებული). სსრ კავშირის ნაკრებმა ყველაზე დიდ წარმატებას მიაღწია შარშან, როცა ევროპის ზონის ფინალში თამაშის უფლება მიიღო (ესპანეთის ჩოგბურთელებთან ფინალურ შეხვედრაში ჩვენები დამარცხდნენ).

# პირველი რაუნდი ასე წარიმართა

ევროპის ზონაში დევისის თასის გათამაშების I წრის შეხვედრების შედეგები „ლელომ" კარგა ხანია გამოაქვეყნა. მაგრამ მაშინ ჩვენ მხოლოდ საერთო ანგარიშები შეგატყობინეთ, ხოლო ცალკეულ სპორტსმენთა ბრძოლის შედეგებზე არავითარი ცნობა არ გვქონდა (გარდა სსრ კავშირ — საბერძნეთის მატჩისა). ახლა გაწვდით დაწვრილებით ცნობებს.

## „ა" ჯგუფი

მსაპანეთი — ჰოლანდია 3:2. სანტანა — ჰაიერი 6:4, 9:7, 6:3; გისბერტი — ოკერი 5:7, 3:6, 5:7; სანტანა, არილია — ოკერი ჰაიერი 1:6, 4:6, 6:3, 6:4, 6:3; სანტანა — ოკერი 4:6, 6:3, 3:6, 7:5, 4:6; გისბერტი — ჰაიერი 7:5, 6:1, 6:0.

შვეცია — როდეზია 4:1. ბენგტსონი — ბეი 6:3, 6:2, 6:4; ნერელი — სალომონი 6:2, 4:6, 5:7, 6:1, 5:7; ბენგტსონი, ნერელი — ბეი, სალომონი 6:2, 6:3, 6:0; ბენგტსონი — სალომონი 6:1, 6:3, 6:4; ნერელი — ირვინი 2:6, 5:7, 6:3, 6:3, 6:3.

დიდი ბრიტანეთი — საფრანგეთი 3:0. ვილსონი — იაუფერტი 6:3, 3:6, 1:6, 6:4, 6:1; კოქსი — გოვენი 3:6, 4:6, 6:1, 7:5, 7:5; ვილსონი, კოქსი — ბიოსტი, კონტე 1:6, 6:2, 3:6, 6:4, 7:5; ვილსონი — გოვენი 6:1, 6:2, 1:6, 3:3... (ეს შეხვედრა დაუმთავრებელი დარჩა წვიმის გამო. ამავე მიზეზით არ შედგა ბოლო შეხვედრაც და ამიტომ მატჩის საბოლოო ანგარიშია 3:0).

ფინეთი — პორტუგალია 4:1. პედერსენ-დიუგვე — პინტო 3:6, 6:2, 7:5, 3:6, 6:4; იოკინენი — ლაგოსი 5:7, 7:5 (დაღამდა და თამაში შეწყდა. მეორე დღეს გაიმარჯვა ფინელმა); ჰედმანი, პედერსენ-დიუგვე — პინტო, როქუეტი 6:3, 6:3, 6:3; იოკინენი — პინტო 4:6, 4:6, 2:6; პედერსენ-დიუგვე — ლაგოსი 6:4, 6:4, 6:4.

სსრ კავშირი — საბერძნეთი 4:1. ლეიუსი — კალოგეროპულოსი 10:8, 4:6, 4:6, 1:6; მეტრეველი — გავრილიდისი 6:2, 6:4, 6:3; მეტრეველი, ლიხაჩოვი — კალოგეროპულოსი, გავრილიდისი 6:4, 4:6, 6:3, 7:5; ლეიუსი — გავრილიდისი 6:2, 6:1, 6:0, მეტრეველი — კალოგეროპულოსი 3:6, 6:2, 1:6, 8:6, 6:2.

იუგოსლავია — ახალი ზელანდია 4:0. ფრანულოვიჩი — პარუნი 5:7, 7:5, 6:1, 6:3; იოვანოვიჩი — ფაირლი 2:6, 7:5, 7:5, 6:4; იოვანოვიჩი, ფრანულოვიჩი — ფაირლი, ჰავკესი 6:1, 6:4, 6:4; იოვანოვიჩი — პარუნი 6:0, 6:1, 6:2; ფრანულოვიჩი — ფაირლი 6:2, 7:5, 3:6, 1:6, 1:2... (შეღამდა და ეს შეხვედრა არ დამთავრებულა. გუნდები შეთანხმდნენ მატჩის შეწყვეტაზე).

იტალია — უნგრეთი 5:0. პიეტრანჯელი — სოეკი 6:3, 6:2, 6:1; მალიგანი — გუიაში 6:4, 3:6, 6:3, 2:6, 7:5; პიეტრანჯელი, მალიგანი — გუიაში, სიკსაი 7:5, 9:7, 2:6, 11:9; მალიგანი — სოეკი 4:6, 7:5, 6:4, 6:1; პიეტრანჯელი — გუიაში 6:4, 6:2, 2:6, 1:6, 7:5.

მონაკო — ირლანდია 3:2. ლანდაუ — მოეცკლერი 6:2, 6:3, 5:7, 6:2; ვიგიანი — ჰიცკეი 4:6, 4:6, 2:6; ლანდაუ, ტრუოხი — ჰიცკეი, ჯეკსონი 5:7, 6:4, 6:4, 4:6, 6:2; ლანდაუ — ჰიცკეი 4:6, 6:4, 8:6, 6:4. მეხუთე შეხვედრაში გაიმარჯვა ირლანდიის წარმომადგენელმა.

## „ბ" ჯგუფი

ბულგარეთი — თურქეთი 5:0. იაშმაკოვი — აიდინი 6:1, 6:2, 6:3; ველევი — ირსი 6:0, 6:0, 6:2; იაშმაკოვი, გენოვი — აიდინი, გიურაკი 6:3, 3:6, 9:11, 6:3, 6:4; გენოვი — გიურსოი 6:1, 6:4, 3:6, 6:4; ველევი — აიდინი 6:1, 6:1, 6:0.

გფრ — შვეიცარია 4:1. ბუნგერტი — შტადლერი 6:4, 6:2, 7:5; ბუდინგი — შტურძა 10:8, 6:1, 6:8, 6:1; მაიერი, ფასბაენდერი — შტურძა, ვერენი 6:4, 2:6, 6:4, 1:6, 4:6; ბუდინგი — შტადლერი 6:1, 11:9, 6:0; ბუნგერტი — შტურძა 1:6, 6:2, 2:6, 8:6, 7:5.

ბელგია — პოლონეთი 3:2. დროსარი — ლევანდოვსკი 6:2, 6:4, 5:7, 2:6, 7:5; ჰომბერგენი — გონშორეკი 6:4, 2:6, 1:6, 1:6; დროსარი, ჰომბერგენი — გონშორეკი, ნოვიცკი 6:3, 4:6, 6:4, 6:2; ჰომბერგენი — ლევანდოვსკი 6:4, 4:6, 6:3, 3:6, 6:2; დროსარი — გონშორეკი 1:6, 2:6, 3:6.

ჩეხოსლოვაკია — ბრაზილია 3:2. კოდეში—კოხი 6:2, 6:3, 3:6, 7:5; ქუკალი — მანდარინო 3:6, 6:4, 2:6, 1:6; კოდეში, ხოლოჩეკი — კოხი, მანდარინო 6:4, 6:4, 4:6, 7:5; ქუკალი—კოხი 4:6, 2:6, 4:6; კოდეში—მანდარინო 8:6, 6:4, 8:6.

ნორვეგია — ლუქსემბურგი 4:1. პრიდი — ბრასერი 6:2, 8:6, 6:4; ელვიკი—ბადენი 9:7, 6:4, 1:6, 6:8, 4:6; როსი, მელანდერი—ბადენი, ბრასერი 7:5, 9:7, 7:5; პრიდი — ბადენი 6:3, 6:4, 3:6, 4:6, 6:2; ელვიკი — ბრასერი 6:3, 6:3, 6:0.

რუმინეთი — დანია 4:1. ნასტასე — ტ. ულრიჰი 6:4, 6:4, 6:2; ცირიაკი — ი. ულრიჰი 6:0, 2:6, 6:4, 9:7; ცირიაკი, ნასტასე — ლემლი, ტ. ულრიჰი 6:3, 7:9, 2:6, 3:6; ცირიაკი — ტ. ულრიჰი 6:1, 6:3, 6:1; ნასტასე — ი. ულრიჰი 6:2, 11:9, 4:6, 6:4.

ირანი — ისრაელი 4:1. ტ. აკბარი — დავიდმანი 7:5, 6:4, 6:4; ჰ. აკბარი — სტაბპოლტცი 6:2, 6:2, 5:7, 6:3; მენატი, ჰოდაი — დავიდმანი, ფრომანი 6:1, 6:4, 6:4; ტ. აკბარი — სტაბპოლტცი 6:1, 6:2, 8:6; ჰ. აკბარი — დავიდმანი 1:6, 2:6, 3:6.

სამხრეთ აფრიკა — ავსტრია 5:0. მოორი — ჰერდი 6:1, 6:2, 6:4; ჰევიტი — შულტჰაისი 6:1, 6:1, 6:3; ჰევიტი, მაკმილანი — ჰერდი, კოლბინგერი 6:3, 6:1, 6:2; მაკმილანი — ჰერდი 6:4, 4:6, 6:4, 6:0, მოორი — შულტჰაისი 6:0, 6:2, 6:1.



ორი სურათი — ორივე მეტრეველისა. ორივე ფოტოზე — ერთი განწყობილება. რატომღაც თამაში ვერ აეწყო! რა მოხდა, რაში ვცდები, რით მჯობს მეტოქე? აი, რა ფიქრი აწუხებდა მეტრეველს ბერძენ ნ. კალოგეროპულოსთან თბილისში გამართული შეხვედრის დროს. საფიქრალი კი, ალბათ გახსოვთ, იმ დღეს თბილისელ ოსტატს მართლაც ბევრი ჰქონდა. ჩვენმა კორესპონდენტმა ბ. ქვათაძემ ეს სურათები მაშინ გადაიღო, როცა ბერძენი ჩოგბურთელი იყო დაწინაურებული. ვინ იცის, იქნებ მეტრეველმა სწორედ თავისთავთან გაჩაღებულ ამ ბრძოლაში იპოვნა გამოსავალი, ყველაზე კრიტიკულ მომენტში სიმტკიცე შეინარჩუნა და ბოლოს ეს უაღრესად დაძაბული მატჩი მოიგო კიდეც.



# ანგარიში იქნება 3:2

მორიგი მატჩი დევისის თასზე სსრ კავშირის ჩოგბურთელთა ნაკრებს იუგოსლავიის მეტად ძლიერ გუნდთან აქვს. ეს შეხვედრა გაიმართება მოსკოვში 24-26 მაისს. იუგოსლავიელები დიდი ხანია დევისის თასზე შეჯიბრებებში მონაწილეობენ და არაერთი ფავორიტი დაუმარცხებიათ. მათ წლევანდელ ნაკრებში თამაშობენ საჩოგბურთო წრეებში კარგად ცნობილი სპორტსმენები ბ. იოვანოვიჩი, ჟ. ფრანულოვიჩი და ნ. სპეარი. იუგოსლავიის ძლიერებას ადასტურებს თუნდაც მისი ამასწინანდელი გამარჯვება ახალი ზელანდიის ნაკრებთან დევისის თასის გათამაშების პროგრამით, აგრეთვე, ამხანაგური მატჩის მოგება გფრ-ის გუნდთან. სხვათა შორის, გერმანელთა კოლექტივში თამაშობდა უიმბლდონის შარშანდელი ტურნირის ფინალისტი ვ. ბუნგერტი, რომელიც იოვანოვიჩმა და ფრანულოვიჩმა დაამარცხეს.

იუგოსლავიელებს საბჭოთა სპორტსმენები ბევრჯერ შეხვედრიან. იოვანოვიჩს, მაგალითად, მოსკოვის მაყურებელი კარგად იცნობს. მან წარმატებით იასპარეზა მოსკოვის საერთაშორისო ტურნირებში (1961 და 1964 წ.წ.). ჩვენში მეორედ სტუმრობის დროს იოვანოვიჩმა ნახევარფინალში დაამარცხა ლეიუსი, ხოლო ფინალში წააგო თანამემამულე ნ. პილიჩთან (პილიჩი ამჟამად პროფესიონალია). წყვილთა ფინალში იუგოსლავიელებმა ფარ-ხმალი დაყარეს ლეიუსთან და ლიხაჩოვთან.

ფრანულოვიჩთან არაერთხელ უთამაშიათ ა. მეტრეველს, ვ. კოროტკოვს და თ. კაკულიას. ახალგაზრდა, უთუოდ მზარდმა ჩოგბურთელმა სენსაციური გამარჯვება მოიპოვა მეტრეველთან. ქართველმა სპორტსმენმა რევანში აიღო წლეულს იანვარში ინდოეთს გამართულ ერთ-ერთ საერთაშორისო ტურნირში. იქ დაამარცხა ფრანულოვიჩი კაკულიამაც. კოროტკოვმა ორჯერ მოუგო იუგოსლაველ ჩოგბურთელს.

ასეა თუ ისე, იუგოსლავიის ნაკრებთან საბჭოთა ჩოგბურთელებს დაძაბული ბრძოლა ელით. ვფიქრობ, ყოველივე მეტრეველმა უნდა გადაწყვიტოს. თუ მისთვის ჩვეული დამაჯერებლობით ითამაშებს, ჩვენმა ლიდერმა ერთეულთა შეხვედრებში 2 ქულა უნდა მოიპოვოს. ამ შემთხვევაში ლიხაჩოვთან ერთად წყვილთა მატჩის მოგებაც არ უნდა გართულდეს. და თუ ასე მოხდა, მოგეხსენებათ, 3 ქულა გუნდურ გამარჯვებას ნიშნავს. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ ჩვენს მეორე ჩოგანს (ეს იქნება ლეიუსი, ეგოროვი, ლიხაჩოვი, კოროტკოვი თუ კაკულია, ჯერ ცნობილი არაა) იუგოსლავიელებთან ქულის მოპოვება ძალიან გაუჭირდება.

ჩემი აზრით, ამ მატჩის ანგარიში იქნება 3:2. ვის სასარგებლოდ? ამის თქმა ძნელია. ორივე გუნდს თანაბარი შანსი აქვს.

ვ. კოლეგორსკი,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.
მოსკოვი.

# ახალი ამბები

● **ბრნო, 21 მაისი.** სროლაში ჩეხოსლოვაკიის ამ ქალაქის დიდ პრიზზე გამართულ საერთაშორისო ტრადიციულ შეჯიბრებაში საბჭოთა მესტენდურეებმა მხოლოდ მრგვალ სტენდზე გუნდურ ჩათვლაში იზეიმეს გამარჯვება — 572 ქულა 600-დან. ამ სახეობის პირად ჩათვლაში ყველას აჯობა პოლონელმა კოროლკევიჩმა — 198 ქულა. საბჭოთა სპორტსმენთაგან საუკეთესო იყო ე. პეტროვი — 193. ადგილიდან სროლაში ორივე ჩათვლაში გაიმარჯვეს ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლებმა: გუნდის შედეგია 568 ქულა, ხოლო მისი უძლიერესი წარმომადგენლის ბეკისა — 196.

● **ბურგასი, 21 მაისი.** ბულგარეთის ამ ქალაქში გაიმართა IV საერთაშორისო საიალქნო რეგატა „მზიური ნაპირი" „ფინის" კლასის იახტებისთვის. შეჯიბრებამ საბჭოთა სპორტსმენებს ორმაგი გამარჯვება მოუტანა: გუნდურ ჩათვლაში საუკეთესო იყო პროფკავშირთა ნაკრები, ხოლო პირადში — მისი ერთ-ერთი წარმომადგენელი ვ. გურიანოვი. 4-დღიან რბოლას, რომელშიც აგრეთვე მონაწილეობდნენ მასპინძლები და რუმინელები, უამინდობა დაესწრო.

● **ტოკიო,** 21 მაისი. **18 წლის იაპონელმა ძალოსანმა ტ. ტაკაომ წარმატებით იასპარეზა სეულში — ქვემსუბუქი წონის იუნიორთა ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა სამჭიდში — 365 კგ. ამრიგად, ტაკაომ 2,5 კგ-ით გააუმჯობესა თავისივე ძველი მიღწევა.**

● *კრაკოვი, 21 მაისი. მშვიდობის* **XXI** *ველორბოლის* **XI** *ეტაპი კატოვიცე — კრაკოვი (123 კმ) მოიგო იტალიელმა რ. მონტანარიმ — 3:09.55. ფინიშთან მეორე იყო ჩეხოსლოვაკიელი პ. კონეჩნი (3:10.25), ხოლო მესამე — იტალიელი ჯ. სანტამბროჯო. ორ საშუალედო ეტაპზე ყველაზე აქტიური ველოსიპედისტი კვლავ ტალინელი პ. იიფერტი იყო. რბოლას ისევ მოსკოველი ვ. ჩერკასოვი ლიდერობს.*

● **ლენინგრადი,** 21 მაისი. **დღეს აქ დაიწყო სსრ კავშირის პირადგუნდური ჩემპიონატი ტანვარჯიშში. პირველ დღეს სავალდებულო პროგრამით ქალები ასპარეზობდნენ. დაწინაურებულთა სამეული ასე გამოიყურება: ლ. პეტრიკი — 38,9 ქულა, ზ. ვორონინა — 38,8, ნ. კუჩინსკაია — 38,6.**

● **მოსკოვი, 21 მაისი.** სსრ კავშირში სტუმრად იმყოფებიან იუგოსლავიის კლასიკური სტილის მოჭიდავეები. ისინი რამდენიმე შეხვედრას გამართავენ ჩვენში, მათ შორის, თბილისშიც.

● *ნალჩიკი, 21 მაისი. აქ მიმდინარეობს უძლიერეს თანამედროვე ხუთჭიდელთა საკავშირო შეჯიბრება. 4 სახეობის შემდეგ დაწინაურდა დინამოელი ბ. ონიშჩენკო — 4181 ქულა,* **II** *ადგილზეა მისი თანაგუნდელი ვ. ვერინჩუკი — 4137, ხოლო* **III** *— ს. შაპარნისი — 3957.*

# ლიდერი... 4 საათით

ლუგანსკი, [illegible]. „ლოკომოტივის" ხელბურთელმა ქალებმა გუშინ პირველად განიცადეს გამარჯვების სიხარული — საკავშირო ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში მათ ფარ-ხმალი დააყრევინეს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელს — კაუნასის „ქალგირისს" — 13:11. შეხვედრის შემდეგ რკინიგზელებმა პირდაპირ კოცნით აავსეს თავიანთი მეკარე ლ. მოისა. ამ მორცხვმა ქალიშვილმა ვაჟკაცურად დაიცვა კარი მრისხანე მეტოქის უამრავი შეტევისგან.

უკრაინის ორმა სხვა გუნდმა კი ვერ შეძლო ოდესელთა წარმატების გამეორება. 50-ზე მეტჯერ ტყორცნეს ბურთი კიეველმა ბურევესტნიკელებმა ბაქოს „სპარტაკის" კარში, მაგრამ მიზანს მხოლოდ ექვსჯერ მიაღწიეს. ესაა რომ, თავიანთ კარში კიეველებმა 12 ბურთი გაუშვეს. კიევის მეორე გუნდი — „სპარტაკი" დღეს პირდაპირ გაანადგურა მოსკოვის „ლუჩმა" — 19:11. მოსკოველებმა დაიბრუნეს ლიდერობა, რომელიც მათ სვერდლოვსკის „კალინინეცმა" ჩამოართვა... 4 საათით (სვერდლოვსკელებმა მოუგეს შეხვედრა ვილნიუსის „შვიესას" — 12:7).

ფინალური მატჩების 4 დღის შემდეგ „ლუჩს" 26 ქულა აქვს. შემდეგ მოდიან: „კალინინეცი" — 25, კიევის „სპარტაკი" — 22, „ქალგირისი" — 19, ბაქოს „სპარტაკი" — 19, „შვიესა" — 16, „ლოკომოტივი" — 10, „ბურევესტნიკი" — 8.

# 130 კაცი — ჰოსპიტალში

**ლონდონი, 20 მაისი.** წარმოუდგენელი აღფრთოვანება გამოიწვია ბირმინგემისა და ვესტ ბრომვიჩის მაცხოვრებლებში „ვესტ ბრომვიჩ ალბიონის" ფეხბურთელთა გუნდის მიერ ინგლისის თასის დასაკუთრებამ. ამ ორი ქალაქის მეოთხედი მილიონი მცხოვრები დიდი ზარ-ზეიმით შეხვდა გასულ კვირას შინ დაბრუნებულ გამარჯვებულებს. რკინიგზის სადგურზე გამართულ დღესასწაულში გულშემატკივართა აღტაცებულმა ბრბომ სულ ცოტა 130 კაცი დააშავა: ხელ-ფეხ მოტეხილი, სერიოზულად დასახიჩრებული ხალხი ჰოსპიტალში გაგზავნეს.

ჭადრაკი

# თუ მოგება გსურთ...

**ქალთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში 9 ტურის შემდეგ ლიდერობენ: ა. სკეგინა (მოსკოვის ოლქი) — 6,5 ქულა, ნ. ალექსანდრია — 6 (1), ე. პოლიქრონიადე (რუმინეთი) — 5,5 (1), ე. კაკაბაძე, ც. კობაიძე — 5,5-5,5, ტ. ზატულოვსკაია (ბაქო) — 5 (1), ა. ჩაიკოვსკაია — 5.**

შეღავათიანი თამაშით დღეს ვერავის მოუგებ. გამარჯვებისთვის ბრძოლას ძველ სადებიუტო სისტემებში ახალი, რთული გაგრძელებების ძიება მოჰყვა. შეიცვალა თამაშის სახეც, — დღეს მოჭადრაკეთა ზრახვები უფრო ღრმაა და შორს გამიზნული. სწორედ ასეთ სტილში გათამაშდა IX ტურის რამდენიმე პარტია.

კახაბრიშვილმა და ალექსანდრიამ ბრძოლა ინგლისური დაცვით დაიწყეს, მერე კი სიცილიური დაცვისთვის დამახასიათებელი პოზიცია შექმნეს. მეტოქენი ნიღბავდნენ მუქარას, ფიგურები დიდხანს გადაჰყავდათ აქეთ-იქით. პირველმა კახაბრიშვილმა გამოააშკარავა თავისი განზრახვა: იერიში მეფეზე. ალექსანდრია მომზადებული დახვდა მეტოქეს და ცენტრში დროული კონტრდარტყმით დაარღვია კახაბრიშვილის ფიგურების წყობა. ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ კახაბრიშვილი უფიგუროდაც დარჩა.

თამაშის გართულებას პოლიქრონიადეც შეეცადა მწვავე დებიუტის საშუალებით, მაგრამ მეტისმეტი მოუვიდა. თბილისელმა მოსწავლემ სანაძემ ალღო აუღო გამოცდილი მეტოქის ჩანაფიქრს და მალე რუმინელ ოსტატს ძალიან საეჭვო პოზიცია შეექმნა. მხოლოდ სანაძის ახალბედობით აიხსნება, რომ მან ეს პარტია ყაიმით დაამთავრა.

ზატულოვსკაიამ ნიუნკერტთან (გდრ) უპრეტენზიოდ გაითამაშა კარო-კანის დაცვა. პოტსდამელი მასწავლებელი ტურნირში უხეიროდ თამაშობს. ზატულოვსკაიას ალბათ მისი შეცდომის იმედი ჰქონდა და ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაც არ დაუსახავს. იგი მხოლოდ ბოლოს, უკვე მარტივ ენდშპილში დაფაცურდა, მაგრამ აქ უფრო გაძნელდა მოსაგები გზის მოძებნა. პარტიის გადადების წინ ზატულოვსკაიამ მაინც შეძლო მცირე უპირატესობის მიღება.

საინტერესო იყო სხვა პარტიებიც. ერეტოვამ ხარისხი შესწირა ჰოლანდიელ ვრეკენს, ხოლო ხუგაშვილმა ფიგურა — სკეგინას. ყველაზე მეტად ჩაიკოვსკაია დაზარალდა. ცაიტნოტში რაძიკოვსკასთან (პოლონეთი) მან ფიგურა წააგო და ენდშპილი, რომელიც მოსაგები გახლდათ, ახლა უიმედო ჩანს.

გადადებული პარტიების დამთავრება. **III ტურის: ალექსანდრია — ნიუნკერტი 1:0; VI ტურის: სკეგინა — ვერეცი 1:0; VII ტურის: კაკაბაძე — ალექსანდრია 0:1; IX ტურის: ხუგაშვილი — სკეგინა 0,5:0,5, რაძიკოვსკა — ჩაიკოვსკაია 1:0, კაკაბაძე — კობაიძე 0,5:0,5.**

**თ. გიორგაძე.**






ს უ რ ა თ ზ ე: სსრ კავშირის ექს-ჩემპიონი ნ. ალექსანდრია, რომელიც დიდხანს არ ჩანდა ლიდერებში. ამან ამაოდ შეაშფოთა მისი გულშემატკივრები: ავადმყოფობის შემდეგ ნანა ფორმაში შევიდა და ახლა პირველობის სერიოზული პრეტენდენტია.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ფეხბურთი

# საქართველოს პირველობა

შედგა მორიგი ტურის შეხვედრები.

● **„სულორი" (ვანი) — „არაგვი" (მცხეთა) 0:0. მსაჯი ო. მურვანიძე (ბათუმი).**

● **„აერო" (გალი) — „ბახმარო" (ჩოხატაური) 1:1. მსაჯი ა. ჭკუასელი (თბილისი).**

ბევრი სახიფათო მომენტი, რომლებიც „ბახმაროს" კართან შესვენებამდე შექმნეს მასპინძლებმა, უშედეგოდ დამთავრდა — 0:0. შემდგომში ჩოხატაურელებმა ხელთ აიღეს ინიციატივა და ჯამბერიძემ მიზანს მიაღწია — 1:0. „აეროს" მოუხდა საპასუხო ბურთისთვის ბრძოლა და 82-ე წუთზე ანჯაფარიძემ გაათანაბრა კიდეც ანგარიში.

● **„ქართლი" (გორის რაიონი) — „ისანი" (თბილისი) 0:0. მსაჯი გ. პოლოსიანი (სოხუმი).**

● **„ფეიქარი" (წულუკიძე) — „ლაითური" (მახარაძე) 1:0. მსაჯი თ. ერგემლიძე (ტყიბული).**

მასპინძლებს საერთო უპირატესობა ჰქონდათ მთელი მატჩის მსვლელობაში. მათ გამარჯვება მოუტანა ანდრიაძის მიერ მე-17 წუთზე გატანილმა ერთადერთმა გოლმა.

● **„სამცხე" (აწყური) — „მეტალურგი" (ზესტაფონი) 0:1. მსაჯი ვ. გოგაშვილი (თბილისი).**

სწრაფ ტემპში დაწყებულ მატჩში მალე გამოიკვეთა სტუმრების ტექნიკური და ტაქტიკური უპირატესობა, მაგრამ აწყურელები მთელი მონდომებით იბრძოდნენ. მეორე ტაიმში მათ ხელთ იგდეს უპირატესობა და რამდენიმე საგოლე მომენტი შექმნეს მეტალურგების კართან. გამარჯვება მაინც ზესტაფონელება ხვდათ წილად, რომელთა მხრივ გოლი გაიტანა ბოცვაძემ.

● **„ნარინჯი" (ბათუმის რაიონი) — „კოლმეურნე" (წალენჯიხა) 2:2. მსაჯი ვ. შახნაზაროვი (თბილისი).**

ბათუმელები პირველ ტაიმში ზურგქარში თამაშობდნენ და ტაიმიც მათ სასარგებლოდ დამთავრდა — 2:0 (მშვიდობაძე, ნოდია). შემდგომში როლები შეიცვალა, შეტევაზე გადავიდა „კოლმეურნე" და შელიამ გაქვითა ორივე გოლი.

● **„გარეჯი" (საგარეჯო) — „დურუჯი" (ყვარელი) 2:2. მსაჯი ე. ჩიფჩიური (თბილისი).**

ანგარიში მე-11 წუთზე გახსნა ჯალილიმ (ყვარელი), ხოლო ჭიაბერაშვილმა გაიტანა საპასუხო გოლი. შემდგომში სამიტაშვილმა დააწინაურა „დურუჯი", მაგრამ ახლა გულისაშვილმა აღადგინა თანაფარდობა.

● **„ლოკომოტივი" (სამტრედია) — „კოლხეთი" (ცხაკაია) 2:2. მსაჯი ა. სიანოზოვი (თბილისი).**

მატჩი მიმდინარეობდა საინტერესო, დაძაბულ ბრძოლაში. თავდაპირველად დაწინაურდნენ ცხაკაიელები (ქაჩიბაია). ტაიმის დასასრულს მანჯგალაძემ საპასუხო გოლი გაიტანა, რის შემდეგ კვანტალიანმა წინ გაიყვანა „ლოკომოტივი" — 2:1. მატჩის დამთავრებას 7 წუთი აკლდა, როცა დარასელია კარგად გავიდა მოპირდაპირე მცველებს შორის და ზუსტი დარტყმით გაიტანა გოლი — 2:2.

● **ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „მესხეთი" (ახალციხე) 1:0. მსაჯი რ. ჩალაბიანი (თბილისი).**

● **ასკ (თბილისი) — „მშენებელი" (სიღნაღი) 2:0. მსაჯი ნ. კონდახსაზოვი (თბილისი).**

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 20 მაისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ასკ (თბილისი) | 13 | 7 | 5 | 1 | 29—8 | 19 |
| „სპარტაკი" (ბორჯომი) | 11 | 6 | 5 | 0 | 20—10 | 17 |
| „ლოკომოტივი" (სამტრედია) | 13 | 6 | 5 | 2 | 17—11 | 17 |
| „ფეიქარი" (წულუკიძე) | 14 | 6 | 5 | 3 | 20—19 | 17 |
| „მეტალურგი" (ზესტაფონი) | 13 | 6 | 5 | 2 | 17—18 | 17 |
| „კოლხეთი" (ცხაკაია) | 12 | 5 | 6 | 1 | 24—11 | 16 |
| „სულორი" (ვანი) | 14 | 6 | 4 | 4 | 13—12 | 16 |
| „აერო" (გალი) | 14 | 6 | 4 | 4 | 17—17 | 16 |
| ფიზკულტურის ინსტ. (თბილისი) | 12 | 6 | 3 | 3 | 17—10 | 15 |
| „დურუჯი" (ყვარელი) | 11 | 5 | 4 | 2 | 18—9 | 14 |
| „სინათლე" (თბილისი) | 11 | 5 | 4 | 2 | 11—7 | 14 |
| „მშენებელი" (სიღნაღი) | 12 | 3 | 5 | 4 | 12—17 | 11 |
| „ნარინჯი" (ბათუმის რაიონი) | 13 | 3 | 4 | 6 | 12—19 | 10 |
| „არაგვი" (მცხეთა) | 10 | 4 | 1 | 5 | 10—10 | 9 |
| „ლაითური" (მახარაძის რ-ნი) | 13 | 3 | 3 | 7 | 11—16 | 9 |
| „გარეჯი" (საგარეჯო) | 13 | 3 | 3 | 7 | 12—19 | 9 |
| „ისანი" (თბილისი) | 14 | 2 | 5 | 7 | 10—23 | 9 |
| „კოლმეურნე" (წალენჯიხა) | 11 | 2 | 4 | 5 | 10—20 | 8 |
| „მესხეთი" (ახალციხე) | 8 | 3 | 1 | 4 | 8—12 | 7 |
| „სამცხე" (აწყური) | 10 | 1 | 4 | 5 | 10—12 | 6 |
| „ბახმარო" (ჩოხატაური) | 12 | 1 | 4 | 7 | 9—22 | 6 |
| „ქართლი" (გორის რაიონი) | 12 | 0 | 4 | 8 | 2—16 | 4 |

## I ჯგუფის II ქვეჯგუფი

### I ზონა

„ელმავალმშენი" (თბილისი) — „აბული" (ახალქალაქი) 3:1, „განთიადი" (კასპი) — „ვაზისუბანი" (გურჯაანი) 1:1, „კოლმეურნე" (მარნეული) — „ფარვანა" (ბოგდანოვკა) 5:3, „მეტალურგი" (რუსთავი) — „გარისი" (თეთრი წყარო) 2:1, „ვარძია" (ასპინძა) — „შრომითი რეზერვები" (გარდაბანი) 0:1, „ბახტრიონი" (ახმეტა) — „არაგვი" (დუშეთი) 3:0. წალკის „თრიალეთს" გამარჯვება ჩაეთვალა ხაშურის „ზემო ქართლთან" შეხვედრაში.

### II ზონა

„სამგურალი" (წყალტუბო) — „რიწა" (გუდაუთა) 4:0, „კოლხეთმშენი" (ფოთი) — „სალხინო" (გეგეჭკორი) 0:5, „დინამო" (ოჩამჩირე) — „მეშახტე" (ტყვარჩელი) 2:2, „ტორპედო" (ქუთაისი) — „კოლმეურნე" (ჩხოროწყუ) 1:0, „ჩიხურა" (საჩხერე) — „მშენებელი" (ჭიათურა) 3:1, „განახლება" (ადიგენი) — „საირმე" (მაიაკოვსკი) 0:1, „იმერეთი" (თერჯოლა) — „ელექტრიკოსი" (ქუთაისი) 1:0, „კოლხეთი" (ხობი) — „განთიადი" (აბაშა) 1:1.



▲ **მსოფლიოს** რეკორდსმენი გულაღმა ცურვაში კარენ მიუირი (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) პნევმონიით დაავადდა და საეჭვოა, მექსიკის ოლიმპიადაში გამოვიდეს.

▲ *პარიზში გამართულ პრესკონფერენციაზე მეხიკოს ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ პედრო ვასკესმა განაცხადა, რომ დამთავრდა მოლაპარაკება თამაშების ტელევიზიით გადაცემის თაობაზე. წინასწარი ვარაუდით* **XIX** *ოლიმპიადას ცისფერ ეკრანებზე ნახავს ხუთი კონტინენტის 400 მილიონზე მეტი ადამიანი.*

▲ **გფრ-ის ტანმოვარჯიშე ვაჟთა ოლიმპიური ნაკრების ხელმძღვანელებს, რომლებსაც მეხიკოში წარმატების იმედი აქვთ, ცივი წყალი გადაასხა რუმინეთის გუნდმა: მან მასპინძლები დაამარცხა — 552,275:548,250.**

▲ სამუალო წონის იტალიელმა პროფესიონალმა მოკრივემ ბ. არკარიმ ევროპის ჩემპიონობისთვის გადამწყვეტი ბრძოლის მე-12 რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით სძლია ავსტრიელ ი. ორსოლიკს, ხოლო ქვესაშუალო წონაში კ. როსიმ (იტალია) 15-რაუნდიან მატჩში ქულებით დაამარცხა ჟ. ჟოსელინი (საფრანგეთი).

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 8 უე 04074